საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-2/2222
01/03/2024

2222-15-2-2-202403011700

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს
ბატონ ვახტანგ გომელაურს

საქართველოს გენერალურ პროკურორს
ბატონ ირაკლი შოთაძეს

წინადადება

სისხლის სამართლის [redacted] საქმეზე, არასრულწლოვან [redacted] შესაძლო განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული თანამშრომლების მიმართ სამსახურებრივი შემოწმების ჩატარების შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ" და „დ" ქვეპუნქტების შესაბამისად.[1]

ბატონო ვახტანგ,

ბატონო ირაკლი,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში განიხილება 2023 წლის 17 მარტს, თბილისში, დიდი დიღმის ტერიტორიაზე, არასრულწლოვან [redacted] განზრახ მკვლელობის შესაძლო ჩადენის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ხარვეზების შესახებ დაზარალებულის უფლებამონაცვლე [redacted] და მისი ადვოკატის, [redacted] განცხადებები. დაზარალებულის უფლებამონაცვლის მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი იქნა სისხლის სამართლის [redacted] საქმის მასალები.

[1] წინადადება მომზადებულია დაზარალებულის უფლებამონაცვლის მიერ 2023 წლის ოქტომბერში წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმის მასალების საფუძველზე.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ გამოძიების მიერ ჩატარებულია არაერთი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, გამოკითხულია არაერთი პირი, მოპოვებულია სხვადასხვა ინფორმაცია და გამოძიება მუშაობს სხვადასხვა ვერსიაზე, მათ შორის, ერთ-ერთია [redacted] მიმართ სქესობრივი ხასიათის დანაშაულის შესაძლო ჩადენა. **მიუხედავად ამისა, გამოძიების მიმდინარეობისას იკვეთება არსებითი ხასიათის ხარვეზები, რამაც, შესაძლოა, გამოძიების ინტერესი არსებითად დააზიანა და შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს გამომძიებლის მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოვალეობის არაჯეროვან შესრულებას. ამასთან, გარკვეული საგამოძიებო მოქმედებების მოცემულ ეტაპზე ჩატარებამ შესაძლოა გამოძიების მიერ მნიშვნელობანი ინფორმაციის მოპოვებას შეუწყოს ხელი.**

ფაქტობრივი გარემოებები და საქმის ანალიზი

როგორც დაზარალებულის უფლებამონაცვლის მიერ წარმოდგენილი საქმის მასალებიდან ირკვევა, 2023 წლის 16 მარტს, საღამოს საათებში, დაახლოებით 22:00 საათის შემდეგ, თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში მაცხოვრებელი არასრულწლოვანი [redacted] არასრულწლოვან დეიდაშვილთან ერთად, სასეირნოდ გავიდა. ბავშვებმა მაღაზიაში შეიძინეს ერთჯერადი სუპი და ენერგეტიკული სასმელი. შემდეგ [redacted] დეიდაშვილი მარტო დაბრუნდა საკუთარ საცხოვრებელ სახლში, ხოლო [redacted] სასეირნოდ მარტო წავიდა. დაახლოებით 23:40 საათიდან, [redacted] ოჯახის წევრებმა დაიწყეს ბავშვის ძებნა დიდი დიღმის ტერიტორიაზე, პოსტი დაიდო ასევე სოციალური ქსელის, „ფეისბუკის" დიდი დიღმელების ჯგუფშიც, რომ ეძებდნენ არასრულწლოვან ბავშვს. [redacted] ძებნაში მონაწილეობდნენ მოქალაქეებიც.

2023 წლის 17 მარტს, დაახლოებით 01:50-02:00 საათზე, იოანე პეტრიწის ქუჩა N10 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხე-ბუჩქნარით დაფარულ ადგილას იპოვეს [redacted] გვამი. გარდაცვლილს სხეულზე აღენიშნებოდა სიკვდილის დადგომამდე ახლო პერიოდში განვითარებული მსუბუქი ხარისხის ზედაპირული დაზიანებები, რაც არ არის კავშირში მის სიკვდილთან (სიკვდილი გამოწვეულია მექანიკური (ასპირაციული) ასფიქსიით, სასუნთქ გზებში საკვები მასების (კუჭის შიგთავსის) მოხვედრის შედეგად).[2] იმავე დღეს, გამოძიება დაიწყო არასრულწლოვანის განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ე" ქვეპუნქტით.

გამოძიების მიერ დადგენილია, რომ 2023 წლის 16 მარტს, დაახლოებით 23:00 საათზე, არასრულწლოვანი [redacted] ტოვებს სკვერს და გადაადგილდება ფეხით. მოწმის ჩვენების თანახმად, მას სკვერიდან უკან არავინ გაყოლია. ასევე, დადგენილია, რომ [redacted] მობილური ტელეფონი გამოირთო 23:22:19 საათზე, თუმცა, ექსპერტიზით

[2] სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 27 აპრილის N001816223 ექსპერტის დასკვნა.

ვერ დადგინდა, ტელეფონის გამორთვა გამოწვეულია ჩართვა-გამორთვის ღილაკზე დაჭერით თუ ელემენტის დაცლით.[3]

საქმის მასალების თანახმად, გამოძიების მიერ ჩატარებული არაერთი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედების შედეგად, ვერ იქნა დადგენილი გარდაცვლილის სხეულზე არსებული დაზიანებების მიყენების მექანიზმი და საგანი; გარდაცვლილთან ჰქონდა თუ არა ფიზიკური შემხებლობა გარდაცვალებამდე ხანმოკლე პერიოდში სხვა პირს და ადგილი ჰქონდა თუ არა დანაშაულის ჩადენას და ასეთის შემთხვევაში, ვის მიერ იქნა ჩადენილი.

მოცემული სისხლის სამართლის საქმის მასალების შესწავლისა და ანალიზის შედეგად, იკვეთება, რომ გამოძიება თავიდან მიმდინარეობდა არაეფექტიანად და დროულად არ იქნა ჩატარებული სწორედ ის სათანადო საგამოძიებო მოქმედებები, რის შედეგადაც, შესაძლოა, გამოძიებას მოეპოვებინა მნიშვნელოვანი მტკიცებულებები და რომელთა ჩაუტარებლობამ ან დაგვიანებით ჩატარებამ, შესაძლოა, გამოიწვია გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების განადგურება და შესაბამისად, საქმის გარემოებების დადგენას შეუშალა ხელი:

- *შემთხვევის ადგილის დათვალიერება*

გვამის აღმოჩენიდან, <u>დაახლოებით 2 საათში,</u> დაიწყო შემთხვევის ადგილის (გვამის აღმოჩენის ადგილი) დათვალიერება. გამოძიების მიერ ამოღებულ იქნა სხვადასხვა ნივთიერი მტკიცებულება, განხორციელდა შემთხვევის ადგილისა და გვამის ფოტოგადაღება. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმისა და გადაღებული ფოტოსურათების მიხედვით, გვამს აღენიშნებოდა სხვადასხვა სახის ზედაპირული სახის დაზიანებები.[4]

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის თანახმად, გვამი აღმოჩენილ იქნა ხე-ბუჩქნარიან ადგილას, რომლის გარშემოც არის, როგორც საცხოვრებელი კორპუსები (პეტრიწის ქ. კორპ. 10, 12, 8), ასევე მშენებარე კორპუსი, მიმდებარე ტერიტორიაზე არის ასევე რაგბის ბაზა, სკოლა, ავტოფარეხები. ასევე, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის თანახმად, ხე-ბუჩქნარიანი ადგილიდან კორპუსებისკენ და მშენებარე ობიექტისკენ

---

[3] სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს [redacted] ექსპერტის დასკვნა.

[4] 2023 წლის 3 მაისს გამოძიების მიერ დაინიშნა სამედიცინო კომისიური ექსპერტიზა, რომელმაც, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა დაადგინოს [redacted] გვამზე არსებული დაზიანებები რა საგნით არის მიყენებული, შესაძლებელია თუ არა დაზიანებები მიეღო გადაადგილებისას ხე-ბუჩქნარში. ასევე, ყელის, ცხვირის, ტუჩების, კისრის მიდამოში აღენიშნება თუ არა ადამიანის ხელის მტევნების ან სხვა საგნის ზემოქმედების დამახასიათებელი კვალი და რამ შეუშალა პირნაღები მასის პირიდან გამოდევნას და როგორ მოხვდა სასუნთქ გზებში. სამედიცინო კომისიური ექსპერტიზის დასკვნა, წარმოდგენილი მასალების თანახმად, გამოძიებას მიღებული არ აქვს. აქვე აღსანიშნავია, რომ სამედიცინო კომისიური ექსპერტიზის დასკვნის მიღების შემდეგ, დასკვნით დადგენილი გარემოებებიდან გამომდინარე, გამოძიება შეიძლება დაინტერესდეს, [redacted] არსებული დაზიანებები მიღებული აქვს თავისით გადაადგილების დროს თუ ვინმეს მიერ მისი სხეულის მიტანის შედეგად და დაინიშნოს ტრასოლოგიური ექსპერტიზა. ამასთან, ასეთ შემთხვევაში, გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი იქნება შეძლებისდაგვარად ზუსტად იყოს ხე-ბუჩქნარის მდგომარეობა აღდგენილი გვამის აღმოჩენის დროს.

მიდის საფეხმავლო გზები. მიმდებარე ტერიტორიაზე ასევე გაჩერებულია ავტომანქანებიც.[5]

დათვალიერებისას არ იქნა აღწერილი და თვითმხილველი მოწმეების ჩვენებებით სრულყოფილად აღდგენილი შემთხვევის ადგილთან ყველა მხრიდან მისასვლელი გზებისა და წინაღობების (ხე-ბუჩქნარი, სხვა დამაბრკოლებელი საგნები მიწაზე) მდგომარეობა. დაუდგენელია, გარდა კორპუსების მხარისა, შესაძლებელი იყო თუ არა გვამის აღმოჩენის ადგილზე სხვა მხრიდან მისვლა, მათ შორის, შედარებით დაფარული კორპუსიდან.[6]

წარმოდგენილი საქმის მასალების თანახმად, გამოძიების მიმდინარეობისას ხდება სექსუალური ხასიათის დანაშაულებში გასულ წლებში ბრალდებული და გასამართლებული პირების დადგენა და მათთან სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება. შესაბამისად, გამოძიება ერთ-ერთ ვერსიად განიხილავს არასრულწლოვან [redacted] მიმართ სექსუალური ხასიათის დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტსაც. მიუხედავად ამისა, **გამოძიების მიერ, გვამის აღმოჩენის შემდეგ, მალევე (საერთოდ არ ჩატარებულა) არ იქნა დათვალიერებული შემთხვევის ადგილის (გვამის აღმოჩენის ადგილის) ახლომახლო მდებარე შედარებით დამალული ადგილები, სადაც არასრულწლოვანი [redacted] ყოფნა ჩვეულებრივ გარემოებებში ნაკლებად სავარაუდო ან საერთოდ გამორიცხულია** (სამშენებლო ობიექტი, რაგბის სტადიონი, კორპუსების სადარბაზოები, სადაც გარდაცვლილს არ ჰყავს ნაცნობები, შემთხვევის ადგილის მიმდებარედ გაჩერებული ავტომანქანები და სხვ.) და არ უცდიათ გარდაცვლილის ბიოლოგიური მასალის ან სუნის ნიმუშის მოპოვება, მისი ასეთ ადგილას ყოფნის დადასტურების მიზნით.[7]

გარდაცვლილის ბიოლოგიური მასალის ან სუნის ნიმუშის ასეთ ადგილებში აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლოა, გამოკვეთილიყო საქმისთვის მნიშვნელობის მქონე სხვა ადგილებიც და მოპოვებულიყო გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებები.

ამასთან, ვინაიდან, **შემთხვევიდან [redacted] გარდაცვალებიდან) გასულია დროის ხანგრძლივი პერიოდი, დღეის მდგომარეობით, გარდაცვლილის სუნის ნიმუშის მოპოვება გამოძიების მიერ ვეღარ მოხდება, ხოლო ბიოლოგიური მასალის (დნმ-ის პროფილის) მოპოვება, ასევე შესაძლოა, ვეღარ მოხდეს. აღნიშნულით კი არსებითად დაზიანებულია გამოძიების ინტერესები.**

---

[5] მოგვიანებით გამოძიების მიერ დათვალიერებულ იქნა დაზარალებულის უფლებამონაცვლის მიერ მითითებული ლოკაციაც და გვამის აღმოჩენის ადგილიც, თუმცა რაიმე არსებითი მნიშვნლობის მქონე ინფორმაცია მოპოვებული აღარ ყოფილა.

[6] საქმის მასალების თანახმად, პოლიციის თანამშრომლების შემთხვევის ადგილზე მისვლამდე, გარდაცვლილისთვის დახმარების აღმოჩენას ცდილობდა მოსახლეობა, ოჯახის წევრები, რომლებსაც შესაძლოა, დაეზიანებინათ გვამის გარშემო ხე-ბუჩქნარი, მისასვლელ გზაზე სხვა საგნები და ა. შ. ამასთან, მოქალაქეები გამოიკითხნენ, თუ რა პოზაში იყო გვამი მისი აღმოჩენისას.

[7] გარდაცვლილის ასეთ ადგილებში ყოფნის დამადასტურებელი მტკიცებულების, მისი ბიოლოგიური მასალის მოპოვების მიზნით საგამოძიებო მოქმედებები გამოძიების მიერ არც შემდეგ ჩატარებულა.

- *საავტომობილო გზა, გამავალი მანქანები, საზოგადოებრივი ტრანსპორტი (ავტობუსი, მიკროავტობუსი, ტაქსი, სხვ.)*

საქმის მასალების თანახმად, გამოძიებას [redacted] მიერ გავლილი გზა დადგენილი აქვს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებების, ვიდეო ჩანაწერებზე მისი ყოფნის დადასტურებისა და გვამის აღმოჩენის ადგილის საფუძველზე. თუმცა, არ უცდია მის მიერ გავლილი მარშრუტი დაედგინა მობილური აპლიკაციის საშუალებით. აღნიშნულის ჩატარების რეკომენდაცია გამოძიებას პროკურატურის[8] მიერ (გენერალური პროკურატურის სიცოცხლის ხელყოფის საქმეებზე დაზარალებულთა საჩივრების განმხილველი საბჭოს მიერ) მიეცა, თუმცა მოგვიანებით - დაახლოებით 7 თვის შემდეგ.[9]

ამასთან, გამოძიების მიერ დადგენილია, რომ გარდაცვალებამდე [redacted] იმყოფებოდა საქანელებიან სკვერში, რომელიც, დაახლოებით, 23:00 საათზე დატოვა. ასევე, გამოძიების მიერ გამოკითხულ პირებს, მათ შორის, გვამის აღმოჩენის ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე მაცხოვრებლებს, 23:00 საათიდან გვამის აღმოჩენამდე რაიმე ხმაური არ გაუგონიათ ან საეჭვო გარემოება არ შეუმჩნევიათ. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, გამოძიებას უნდა ეცადა დაედგინა, ხომ არ მოხდა [redacted] სხვა ლოკაციაზე გადაყვანა ან/და უკვე შემდგომ გვამის აღმოჩენის ადგილზე მიტანა.

საქმის მასალების თანახმად, ასევე, დაუდგენელია, [redacted] მიერ გარდაცვალებამდე გავლილი გზის მიმდებარე ტერიტორიებზე არის თუ არა საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერება, გამოძიებისთვის საინტერესო პერიოდში, საავტომობილო გზაზე გაიარა თუ არა საზოგადოებრივმა ან/და კერძო პირის სატრანსპორტო საშუალებებმა და არ ფიქსირდება ასეთი სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მგზავრების იდენტიფიცირების მცდელობა, შემდგომი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მიზნით. ამ მიზნით, გამოძიების მიერ თბილისის სატრანსპორტო კომპანიიდან არ არის მოპოვებული ინფორმაცია, გარდაცვალებამდე არასრულწლოვან [redacted] გადაადგილების მარშრუტის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელმა საზოგადოებრივმა ტრანსპორტმა გაიარა, ხომ არ ჩამოვიდა ან ავიდა გაჩერებაზე ვინმე. არ არის გამოთხოვილი სათანადო სატრანსპორტო საშუალების ვიდეო სამეთვალყურეო კამერების ჩანაწერები.

გამოძიების მიმდინარეობის შემდგომ ეტაპზე,[10] მას შემდეგ, რაც დაზარალებულის უფლებამონაცვლემ მიუთითა, გამოძიებას გადაეცა საქმეზე ჩასატარებელ საგამოძიებო მოქმედებათა რეკომენდაცია N9,[11] რომელთაგან ერთ-ერთი ეხება ვიდეო ჩანაწერებზე დაფიქსირებულ ავტომანქანის იდენტიფიცირების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს. ამავე რეკომენდაციის თანახმად, საიდენტიფიკაციო ავტომანქანა გადაადგილდება

---

[8] საქართველოს გენერალური პროკურატურის თბილისის პროკურატურის [redacted] წერილი.

[9] სახალხო დამცველის აპარატისთვის უცნობია, შესრულდა თუ არა რეკომენდაცია ამ დროისთვის.

[10] საქართველოს გენერალური პროკურატურის თბილისის პროკურატურის [redacted] წერილი.

[11] გამოძიების მიმდინარეობისას გაცემული წინა რეკომენდაციების შესრულების შედეგად საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია მოპოვებული არ ყოფილა.

შემთხვევის ადგილისკენ და ბრუნდება უკან (აპარატში წარმოდგენილი საქმის მასალებიდან არ იკვეთება, შესრულებულ იქნა თუ არა გამოძიების მიერ აღნიშნული რეკომენდაცია და რა ინფორმაცია იქნა მოპოვებული).

- *გარდაცვლილის კიდევ ერთ ლოკაციაზე ყოფნის შესაძლებლობა*

საქმის მასალების თანახმად, გამოძიების მიერ 2023 წლის სექტემბრის თვეში გამოკითხულმა ერთ-ერთმა მოწმემ, [redacted] რომელიც ცხოვრობს დიდი დიღმის დასახლების მე-3 მ/რ-ში, განმარტა, რომ 2023 წლის 17 მარტს (16 მარტის ღამით/17 მარტის დასაწყისი საათები), საღამოს, როდესაც ოჯახის წევრები ეძებდნენ არასრულწლოვან [redacted] იმყოფებოდა აივანზე და გაიგონა გოგონას ტირილის ხმა. ხმა გაგრძელდა რამდენიმე წამი, და მოესმა „საქართველოს ბანკის" მიმდებარე ტერიტორიიდან, ცენტრალური გზიდან 10-15 მეტრის დაშორებით. შემდეგ, მალევე ნახა სოციალურ ქსელ „ფეისბუკზე" „დიდი დიღმელების" ჯგუფში, რომ ეძებდნენ 12 წლის გოგონას და მანაც მიწერა სიტყვები - „ცოტა ხნის წინ შემომესმა გოგონას ტირილის ხმა, რომელიც მგონი საუბრობდა". შემდეგ, თავადაც გავიდა და დაათვალიერა მისი უბანი, მაგრამ მის საცხოვრებელ კორპუსთან არავინ იყო. შემდეგ სოციალური ქსელით მას დაუკავშირდა პირი, [redacted] როგორც გოგონას ოჯახის მეგობარი და შეხვედრა სთხოვა. შეხვდნენ მის საცხოვრებელ კორპუსთან ახლოს, [redacted] ერთად იყვნენ პოლიციის თანამშრომლები, რომლებსაც ასევე უამბო, რაც გაიგონა და შემდეგ გააგრძელეს ბავშვის ძებნა. [redacted] ჩვენებას ადასტურებს ასევე [redacted]

საქმის მასალების თანახმად, გამოძიებას არ უცდია დაედგინა დიდი დიღმის 3 მ/რ-და არასრულწლოვან [redacted] გადაადგილების დადგენილი მარშრუტის შესაბამისად, რამდენად შესაძლებელი იყო მოწმის მიერ მითითებულ ტერიტორიაზე ყოფილიყო [redacted] ან მოწმის მიერ მითითებული ტერიტორიიდან გარდაცვლილ [redacted] გვამის აღმოჩენის ადგილამდე მიმავალი გზ(ებ)ის მარშრუტი და გადაადგილებისთვის, მათ შორის, სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებისთვის საჭირო დრო. ასევე, არ არის დადგენილი მიმდებარე გზებზე 2023 წლის 16-17 მარტს, 22:00-02:00 საათამდე გადაადგილებული სატრანსპორტო საშუალებები და მათი მგზავრები.

ასევე, გამოძიების მიერ არ არიან დადგენილი და იდენტიფიცირებული პოლიციის ის თანამშრომლები, რომლებსაც მოწმის განმარტებით, აცნობა მის მიერ გაგონილი ხმის შესახებ და არ არიან გამოკითხული მათ მიერ შემდეგ განხორციელებული ქმედებების შესახებ, მითუმეტეს, მას შემდეგ, რაც აღმოჩენილ ქნა არასრულწლოვან [redacted] გვამი.

- *მიმდებარე ტერიტორიაზე (სამშენებლო ობიექტი) მყოფი პირი*

საქმის მასალების თანახმად, 2023 წლის 21 მარტს გამოძიების მიერ გამოიკითხა შემთხვევის ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე, ცარიელ სამშენებლო ობიექტზე მყოფი

ერთადერთი პირი, [redacted], რომელიც შემთხვევის დროს იმყოფებოდა სამსახურში. მისი გამოკითხვის თანახმად, რაიმე საეჭვო არ შეუმჩნევია, არც ჩხუბის და ყვირილის ხმა გაუგია. ამასთან, მან მეორე დღეს დატოვა შემთხვევის ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ობიექტი და სამსახური. მისი თქმით, 17 მარტს, ახალ სამსახურში გადავიდა უკეთესი პირობებით. მიუხედავად იმისა, რომ [redacted] გამოძიების მიერ დადგენილი გარემოებების თანახმად, იმყოფებოდა გარდაცვლილი [redacted] გადაადგილებისა და მისი გვამის აღმოჩენის მიმდებარე ტერიტორიაზე, გამოძიებას არ გადაუმოწმებია, რამდენად შეესაბამებოდა გამოკითხული პირის მიერ ახალ სამსახურში გადასვლის შესახებ ინფორმაცია სინამდვილეს, ჰქონდა თუ არა მას დაგეგმილი 2023 წლის 17 მარტს სამსახურის დატოვება და სხვა სამსახურის დაწყება და ხომ არ გამოიწვია მის მიერ სამსახურის დატოვება რაიმე გაუთვალისწინებელმა ან საეჭვო გარემოებამ. წარმოდგენილი საქმის მასალებიდან, ასევე არ იკვეთება [redacted] ბიოლოგიური ნიმუშების აღების ფაქტი, რისი დროული ჩატარება შესაძლებელს გახდიდა (ვიდრე გამოძიება შეიტყობდა, რომ ბავშვზე არსებული ბიოლოგიური მასალის კვალი პიროვნების იდენტიფიცირებისთვის არასაკმარისია) შემდგომში [redacted] შემხებლობის დადგენის/გამორიცხვის მიზნით კვლევას.

- [redacted]

საქმის მასალების თანახმად, დაზარალებულის უფლებამონაცვლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, არაერთი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება იქნა ჩატარებული მოქალაქე [redacted] ამასთან, [redacted] საქმის მასალების თანახმად, 2023 წლის 16-17 მარტის მდგომარეობით, მუშაობდა დიდი დიღმის ტერიტორიაზე, არჩილ მეფის 7ა-ში მდებარე „სპარის" სუპერმარკეტში, სამუშაო საათებს ასრულებდა 23:00 საათზე. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ პირთან გამოძიების მიერ ჩატარებულ იქნა სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებები, მათ შორის, არაერთხელ გამოიკითხა, გამოძიების მიერ მოპოვებულ იქნა დოკუმენტაცია მის მიერ ჩატარებული მკურნალობისა და მობილური ტელეფონის ლოკაციების თაობაზე, ასევე, მის საცხოვრებელ სახლში ჩატარდა ჩხრეკა და მისი სამუშაო ადგილიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია სამუშაო საათების შესახებ, გამოძიება არ დაინტერესებულა ობიექტური მტკიცებულებებით დაედგინა, თუ როდის დატოვა აღნიშნულმა პირმა, კონკრეტულად, 2023 წლის 16 მარტს, სამუშაო ადგილი და რა სატრანსპორტო საშუალებით დატოვა დიდი დიღმის ტერიტორია.[12]

- *მობილური ტელეფონი*

საქმის მასალების თანახმად, გარდაცვლილ [redacted] მობილური ტელეფონი აღმოჩენილ იქნა გვამიდან დაახლოებით 14 მეტრის მოშორებით, ჩაღრმავებულ ადგილას, ბეტონის ნატეხებს შორის, გამორთულ მდგომარეობაში. ამასთან, ექსპერტიზით ვერ

[12] ასევე აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პირის [redacted] გარდაცვალების ფაქტთან შემხებლობა, საქმის მასალების თანახმად, არ დასტურდება და საგამოძიებო მოქმედებები ჩატარებულია დიდი დიღმის მაცხოვრებელი ერთ-ერთი პირის მიერ მისი ქცევის საეჭვოდ მიჩნევის საფუძველზე, [redacted] გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე.

დადგინდა, მობილური ტელეფონი გამოირთო ელემენტის განმუხტვის შედეგად, თუ ვინმემ განზრახ გამორთო იგი. მიუხედავად ამისა, გამოძიებას არ გამოუკითხავს გარდაცვლილი [redacted] ოჯახის წევრები და ახლობლები, მისი ჩვევის შესახებ, მაგალითად, აქცევდა თუ არა ყურადღებას მობილური ტელეფონის ელემენტის დამუხტვის მდგომარეობას.

- *ფოტორობოტი*

დაზარალებულის უფლებამონაცვლის მიერ სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი საქმის მასალების თანახმად, გამოძიების მიერ, 2023 წლის 18 მარტს, გამოიკითხა გარდაცვლილ [redacted] რომელმაც გამოძიებას აჩვენა, რომ, როდესაც ეძებდა დაკარგულ [redacted] შეხვდა პირი, რომელიც აღწერა და ასევე აღნიშნა, რომ ნახვის შემთხვევაში, ამოიცნობდა. [redacted] ამავე ჩვენების თანახმად, მითითებული პირი მოდიოდა იმ მიმართულებიდან, სადაც შემდეგ იქნა აღმოჩენილი [redacted] გვამი და მისი შეფასებით, იყო აღელვებული. მიუხედავად ამისა, გამოძიებას და ოპერატიულ-სამძებრო ორგანოებს არ შეუდგენიათ [redacted] მიერ მითითებული ნიშნების შესაბამისად, უცნობი პირის ფოტორობოტი ნახევარი წლის მანძილზე (2023 წლის 18 მარტიდან 20 სექტემბრამდე). საქმის მასალების თანახმად, [redacted] მიერ მითითებული აღწერილობით, 2023 წლის 20 სექტემბერს, 2023 წლის 13 სექტემბრის დადგენილების საფუძველზე, ჩატარდა ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზა და შედგა [redacted] აღწერილობის მიხედვით ფოტო რობოტი.[13]

გამოძიების მიერ მოპოვებული ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნებისა და შედგენილი ფოტორობოტების საფუძველზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის დანაყოფებს, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში, დაევალათ აღწერილი პირების დადგენა.

სამართლებრივი სტანდარტები და შეფასება

როგორც უკვე აღინიშნა, არასრულწლოვან [redacted] განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება თავიდან ხარვეზებით მიმდინარეობდა, არ იქნა ჩატარებული მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედებები გამოძიების საწყის ეტაპზე, რამაც, შესაძლოა, გამოიწვია გარკვეული მტკიცებულებების მოპოვებისა და გარემოებების აღდგენის შეუძლებლობა და დამნაშავის დადგენა.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შესასრულებლად, გამოძიება უნდა წარიმართოს ეფექტიანად (მათ შორის, დროულად და ზედმიწევნით), რაც მოიცავს საკვანძო საგამოძიებო მოქმედებების დროულად და სრულყოფილად ჩატარებას,

[13] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის [redacted]

რომ არ მოხდეს მტკიცებულებების დაკარგვა, განადგურება და ამით ხელი არ შეეშალოს მნიშვნელოვანი გარემოებებისა და დამნაშავის დადგენას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „გამომძიებელი ვალდებულია გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად".[14]

ასევე, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N989 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების"თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი და გადაცდომის სახეა სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა და არაჯეროვანი შესრულება.[15]

მიუხედავად იმისა, რომ გამოძიებას არ აქვს მიღებული სამედიცინო კომისიური ექსპერტიზის დასკვნა და შესაბამისად, არ არის დადგენილი [redacted] გვამზე არსებული დაზიანებების მიყენების მექანიზმი და სასუნთქ გზებში პირნაღები მასის მოხვედრის მიზეზი, საქმის მასალების შესწავლის შედეგად იკვეთება, რომ გამოძიების მიერ არ არის ჩატარებული ისეთი საგამოძიებო მოქმედებები, რის შედეგადაც, შესაძლოა, მოპოვებული ყოფილიყო გარდაცვლილის სიკვდილამდე მცირე ხნით ადრე, სხვა ადგილზე შესაძლო ყოფნის დამადასტურებელი მტკიცებულებები, როგორიცაა სუნის კვალი ან ბიოლოგიური ნიმუში. ამასთან, ვინაიდან [redacted] გარდაცვალებიდან (2023 წლის 16-17 მარტი) გასულია დროის ხანგრძლივი პერიოდი, გარდაცვლილის სუნის ნიმუშის მოპოვება, დღეის მდგომარეობით უკვე შეუძლებელია, ხოლო რაც შეეხება ბიოლოგიური ნიმუშის მოპოვებას, ასევე გართულებულია და შესაძლოა, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შედეგად ვეღარ მოხდეს მტკიცებულებების მოპოვება. აღნიშნული კი არსებითად აზიანებს გამოძიების ინტერესებს.

დასკვნა

როგორც საქმის მასალების შესწავლის შედეგად იკვეთება, **არასრულწლოვან [redacted] [redacted] მიმართ შესაძლო დანაშაულის ჩადენის ფაქტზე მიმდინარე გამოძიება ვერ აკმაყოფილებს ეფექტიანი გამოძიების სტანდარტებს.** კერძოდ, **არ არის ჩატარებული მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედებები, რომელთა ნაწილის ჩატარებაც, დღეის მდგომარეობით, უპერსპექტივო ან მნიშვნელოვნად გართულებულია.** ამასთან, **საგამოძიებო მოქმედებების ნაწილის ჩატარება კვლავ შესაძლებელია და შესაძლოა, მათი**

[14] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 37, ნაწ. 2.

[15] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდება", დანართი N1, მუხ. 2, პუნქტ. 2, ქვეპუნქტ. „ა" და „ა1".

ჩატარების შედეგად გამოძიების მიერ მოპოვებულ იქნეს მნიშვნელოვანი მტკიცებულებები.

შესაბამისად, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ" და „დ" ქვეპუნქტების თანახმად, მოგმართავთ წინადადებით:

<u>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:</u>

სისხლის სამართლის [redacted] საქმეზე არასრულწლოვან [redacted] განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, გონივრულ ვადებში:[16]

1) დათვალიერედეს გვამის აღმოჩენის ადგილის მიმდებარედ, შედარებით დაფარული ობიექტები, სადაც გარდაცვლილის ყოფნა ჩვეულებრივ გარემოებებში გამორიცხული ან ნაკლებსავარაუდოა და სათანადო ექსპერტების მიერ აღებულ იქნეს ანაწმენდები [redacted] ბიოლოგიური მასალის (დნმ-ის) კვალის აღმოჩენის მიზნით;
2) დადგინდეს 2023 წლის 16 მარტის 23:00 საათიდან 17 მარტის 03:00 საათამდე, გვამის აღმოჩენის ადგილის მიმდებარე ტერიტორიებზე გაჩერებული მანქანები და მათი მფლობელები 2023 წლის 16-17 მარტის პერიოდში. იდენტიფიცირებული ავტომანქანები დათვალიერდეს შესაბამისი ექსპერტის მონაწილეობით და აღებულ იქნეს ანაწმენდები [redacted] ბიოლოგიური მასალის (დნმ-ის) კვალის აღმოჩენის მიზნით. ავტომანქანებით მოსარგებლე პირებთან ჩატარდეს სათანადო საგამოძიებო მოქმედებები;
3) დადგინდეს, რა მდგომარეობაში იყო ხე-ბუჩქნარი გვამის გარშემო, ხომ არ იყო გადატეხილი ხეების ტოტები, სანამ მოქალაქეები მივიდოდნენ დახმარების აღმოჩენის მიზნით გვამთან. კერძოდ, ამ მიზნით, დამატებით გამოიკითხონ გვამის აღმოჩენის ადგილზე მისული პირები. მათი გამოკითხვით ასევე დადგინდეს, არის თუ არა გვამის აღმოჩენის ადგილას ერთზე მეტი მისასვლელი ან/და შესასვლელი ხე-ბუჩქებში და რომელიმე მი(შე)სასვლელთან, ხომ არ იყო ხეებზე ტოტები მოტეხილი ან დაზიანებული ან რაიმე გარემოება, რაც მიუთითებდა ადამიანის დროის მცირე პერიოდში შესვლაზე ან გამოსვლაზე. დადებითი პასუხის შემთხვევაში, დადგინდეს, რა მიმართულებით მიდის ასეთი შესასვლელიდან გზა;
4) თბილისის სატრანსპორტო კომპანიიდან, ასევე ტაქსების მომსახურების კომპანიებიდან გამოთხოვილ იქნეს ინფორმაცია 2023 წლის 16-17 მარტს, [redacted] გადაადგილებისა და გვამის აღმოჩენის მიმდებარე ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ტრანსპორტის (ავტობუსი, მიკროავტობუსი) მარშრუტისა და გადაადგილების დროის თაობაზე. მოცემულ მარშრუტზე გამოძიებისთვის საინტერესო დროის მონაკვეთში, ხომ არ გადაადგილდებოდა

[16] ვინაიდან სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიებას საქართველოს გენერალურ პროკურატურაში მოქმედი სიცოცხლის ხელყოფის საქმეებზე დაზარალებულთა საჩივრების განმხილველი საბჭოს მიერ მიცემული აქვს არაერთი რეკომენდაცია საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების შესახებ, მოცემული წინადადება არ მოიცავს მათ.

საზოგადოებრივი ტრანსპორტი (ავტობუსი, მიკროავტობუსი), მათთან დაკავშირებული ტაქსი. ასეთის შემთხვევაში, მოპოვებულ იქნეს კონკრეტული სატრანსპორტო საშუალების მაიდენტიფიცირებელი მონაცემები (სახელმწიფო ნომერი), მარშრუტი და გაჩერებები დროის მითითებით, სატრანსპორტო საშუალებაში დამონტაჟებულია თუ არა ვიდეოსამეთვალყურეო კამერები და სად და რა ვადით ინახება ვიდეოჩანაწერები, მძღოლის, მგზავრების (შესაძლებლობის შემთხვევაში) მაიდენტიფიცირებელი მონაცემები. სატრანსპორტო საშუალებებში, შიდა სივრცის ამსახველი ვიდეოსამეთვალყურეო კამერების არსებობის შემთხვევაში მოპოვებულ იქნეს ვიდეოკამერების ჩანაწერები 2023 წლის 16 მარტის 22:00 საათიდან 17 მარტის 02:00 საათამდე პერიოდისთვის. ვიდეოჩანაწერების დათვალიერების შედეგად, დადგინდეს, ხომ არ ჩავიდა სატრანსპორტო საშუალებიდან ვინმე ან ხომ არ ავიდა ტრანსპორტში გამოძიებისთვის საინტერესო ლოკაციაზე და დროს. დადებით შემთხვევაში, მათთან ჩატარებულ იქნეს სათანადო საგამოძიებო მოქმედებები. ტაქსების შემთხვევაში, მოპოვებულ იქნეს შესაბამისი აპლიკაციების მონაცემები და მარშრუტი. დადგენილ იქნეს მგზავრების ვინაობა და მათთან ჩატარდეს სათანადო საგამოძიებო მოქმედებები;

5) დადგინდეს გამოძიებისთვის საინტერესო ლოკაციების მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე არსებული ვიდეოსამეთვალყურეო კამერების ჩანაწერები ინახება თუ არა დღეის მდგომარეობით. დადებითი პასუხის შემთხვევაში, მოხდეს შესაბამისი პერიოდის ვიდეოჩანაწერების გამოთხოვა და მასზე ასახული პირების იდენტიფიკაცია;

6) შ.პ.ს. „ევროჰოუმმარკეტი"-დან (სპარი) გამოთხოვილ იქნეს ინფორმაცია, ზუსტად რომელ საათზე და რა სატრანსპორტო საშუალებით დატოვა სამუშაოს ტერიტორია [redacted] 2023 წლის 16-17 მარტს. ასევე, გამოთხოვილ იქნეს ინფორმაცია დიდი დიღომი, არჩილ მეფის 7ა-ში მდებარე სუპერმარკეტ „სპარში" არსებული ვიდეოსამეთვალყურეო კამერების არსებობისა და ჩანაწერების შენახვის ვადის შესახებ, [redacted] ბიერ სამსახურის ტერიტორიის დატოვების დადგენის მიზნით;

7) დადგინდეს [redacted] დადგენილი გადაადგილების მარშრუტსა და გვამის აღმოჩენის ადგილამდე მანძილი იმ ტერიტორიიდან, სადაც მოწმე [redacted] ჩვენებით, მას მოესმა გოგონას ტირილის ხმა. დადგინდეს, ხომ არ გადაადგილდებოდა 2023 წლის 16 მარტის 23:00 საათის შემდეგ აღნიშნულ ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალება და ამ მიზნით, თბილისის სატრანსპორტო კომპანიიდან და ტაქსების მომსახურების კომპანიებიდან გამოთხოვილ იქნეს სათანადო ინფორმაცია. ასევე, მოპოვებულ იქნეს ინფორმაცია მიმდებარე გაჩერებებზე არსებული ვიდეოსამეთვალყურეო კამერების არსებობისა და ჩანაწერების შენახვის ვადების შესახებ და მოხდეს ვიდეოჩანაწერების გამოთხოვა (არსებობის შემთხვევაში). საზოგადოებრივი ტრანსპორტის (ავტობუსი, მიკროავტობუსი) ან/და ტაქსის გადაადგილების შემთხვევაში, მოპოვებულ იქნეს კონკრეტული სატრანსპორტო საშუალების

მაიდენტიფიცირებელი მონაცემები (სახელმწიფო ნომერი), მარშრუტი და გაჩერებები დროის მითითებით, სატრანსპორტო საშუალებაში დამონტაჟებულია თუ არა ვიდეოსამეთვალყურეო კამერები და სად და რა ვადით ინახება ვიდეოჩანაწერები, მძღოლის, მგზავრების (შესაძლებლობის შემთხვევაში) მაიდენტიფიცირებელი მონაცემები. სატრანსპორტო საშუალებებში, შიდა სივრცის ამსახველი ვიდეოსამეთვალყურეო კამერების არსებობის შემთხვევაში მოპოვებულ იქნეს ვიდეოკამერების ჩანაწერები 2023 წლის 16 მარტის 22:00 საათიდან 17 მარტის 02:00 საათამდე პერიოდისთვის. ვიდეოჩანაწერების დათვალიერების შედეგად, დადგინდეს, ხომ არ ჩავიდა სატრანსპორტო საშუალებიდან ვინმე ან ხომ არ ავიდა ტრანსპორტში გამოძიებისთვის საინტერესო ლოკაციაზე და დროს. ჩატარდეს შემხვედრი საგამოძიებო მოქმედებები;

8) დადგინდეს პოლიციის იმ თანამშრომელთა ვინაობა, რომლებთან ერთადაც მივიდა მოწმე [redacted] სოციალურ ქსელ „ფეისბუკის" დიდი დიღმელების ჯგუფში გამოქვეყნებული პოსტის კომენტართან დაკავშირებით და გამოიკითხონ მათ მიერ [redacted] მიერ მიწოდებული ინფორმაციის შემოწმების მიზნით, [redacted] ბებნისას გატარებული ღონისძიებების შესახებ;

9) გამოძიების მიერ დადგინდეს, ნამდვილად დაიწყო თუ არა 2023 წლის 17 მარტს [redacted] ახალ ობიექტზე მუშაობა. მის მიერ ახალი სამსახურის დაწყება დაგეგმილი იყო თუ გვამის აღმოჩენის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სამსახურის დატოვების გადაწყვეტილება მის მიერ მიღებულ იქნა 2023 წლის 17 მარტს. აღნიშნული საკითხების შემოწმება განხორციელდეს ობიექტური ინფორმაციის მოპოვების გზით, 2023 წლის 17 მარტამდე და 17 მარტის შემდეგ [redacted] დამსაქმებელი კომპანიიდან სათანადო ინფორმაციის გამოთხოვით;

10) გამოიკითხონ [redacted] მშობლები და ახლობლები მისი ჩვევის შესახებ მობილური ტელეფონის ელემენტის დამუხტვასთან დაკავშირებით, აქცევდა თუ არა ყურადღებას მობილური ტელეფონის ელემენტი ყოფილიყო დამუხტულ მდგომარეობაში.

<u>საქართველოს გენერალურ პროკურატურას:</u>

„პროკურატურის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად შეიტანოთ წარდგინება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, დაიწყოს სამსახურებრივი შემოწმება სისხლის სამართლის [redacted] საქმეზე გამოძიების წარმოებისას, საქმის მწარმოებელი გამომძიებლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულების ფაქტზე (გაჭიანურებული ან/და ჩაუტარებელი, ასევე, ხარვეზიანი საგამოძიებო მოქმედებების ფაქტებზე).

გთხოვთ, მოცემული წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ლევან იოსელიანი

სახალხო დამცველი